სადეპოზიტო სერტიფიკატის სტანდარტული პირობები

დამტკიცებულია სს „ლიბერთი ბანკის“
იურიდიული დეპარტამენტის უფროსის 2026 წლის 31 მარტის ბრძანებით

შინაარსი

ტერმინთა განმარტებები 3
სერტიფიკატის მფლობელის განცხადებები და გარანტიები 3
ხელშეკრულების ძირითადი პირობები 4
ხელშეკრულების მოქმედება და ხელშეკრულების შეწყვეტა 5
კომუნიკაცია 5
კონფიდენციალურობა 5
პრეტენზიები და დავები 5
ფორს-მაჟორი 5
სხვა პირობები 5

სადეპოზიტო სერტიფიკატის სტანდარტული პირობები

1. ტერმინთა განმარტებები

1.1. თუ წინამდებარე **პირობებით** სხვა რამ არ არის განსაზღვრული ან/და მისი კონტექსტიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს, **ხელშეკრულებაში** მითითებულ ქვემოთმოცემულ ტერმინებს ენიჭებათ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1.1. **ამონაწერი - სერტიფიკატის რეესტრში** არსებული ჩანაწერის საფუძზველზე, **ბანკის** მიერ **სერტიფიკატის მფლობელისთვის** გადაცემული დოკუმენტი, რაც ადასტურებს სერტიფიკატის ფლობის ფაქტს;

1.1.2. **ანგარიში** - **სერტიფიკატის მფლობელის ბანკში** არსებული საბანკო ანგარიშ(ებ)ი;

1.1.3. **არასტანდარტული სერტიფიკატი** - **ბანკის** მიერ ემიტირებული **სერტიფიკატი**, რომელიც არ შეესაბამება **სტანდარტული სერტიფიკატისათვის კანონმდებლობით** განსაზღვრულ პირობებს;

1.1.4. **სერტიფიკატის გამყიდველი** - **სერტიფიკატის მფლობელი,** რომელიც ასხვისებს **სერტიფიკატს**;

1.1.5. **სერტიფიკატის მყიდველი** - **სერტიფიკატის** შეძენით დაინტერესებული **პირი**, რომელიც იძენს **სერტიფიკატს**;

1.1.6. **ბანკი** - სს „ლიბერთი ბანკი" (ს/კ 203828304)/ემიტენტი, რომელიც **კანონმდებლობით** დადგენილი წესით ახორციელებს **სერტიფიკატის** ემისიას/გამოშვებას;

1.1.7. **განაცხადი** - **ბანკის** მიერ მატერიალური დოკუმენტის, ელექტრონული, ოპტიკური ან სხვა მსგავსი საშუალებ(ებ)ის გამოყენებით შექმნილი და **სერტიფიკატის მფლობელისთვის** ან/და **სერტიფიკატის მყიდველისთვის** მიწოდებული წერილობითი ინფორმაცია (მათ შორის და არამარტო **სერტიფიკატის გასხვისების** დავალება და სხვა), რომელსაც **სერტიფიკატის მფლობელი**, **სერტიფიკატის მყიდველი** ეთანხმება ხელმოწერით ან/და ელექტრონული ფორმის დადასტურებით (ელექტრონული თანხმობა), რაც ითვლება **სერტიფიკატის მფლობელის**, **სერტიფიკატის მყიდველის** მიერ მატერიალურ დოკუმენტზე თანხმობის განცხადების/ნების გამოხატვის თანაბარი იურიდიული ძალის მქონედ. **განაცხადი** თან ერთვის **ხელშეკრულებას** და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს;

1.1.8. **განცხადებები და გარანტიები - პირობების** მე-2 მუხლში მოცემული **სერტიფიკატის მფლობელის** განცხადებები და გარანტიები;

1.1.9. **დანართი** - **ბანკის** მიერ განსაზღვრული, **სერტიფიკატის მფლობელის/სერტიფიკატის მყიდველის** მიერ ხელმოწერილი ნებისმიერი დამატებითი დოკუმენტ(ებ)ი, რომელიც აზუსტებს, ცვლის ან/და წყვეტს **ხელშეკრულებას** ან/და **პირობებს** და წარმოადგენს **ხელშეკრულების** განუყოფელ ნაწილს;

1.1.10. **კანონმდებლობა** - საქართველოს მოქმედი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების, აგრეთვე საქართველოს ნორმატიულ აქტთა სისტემაში მოქცეული საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების და შეთანხმებების ერთობლიობა;

1.1.11. **კონფიდენციალური ინფორმაცია** - თუ **ხელშეკრულებით** სხვა რამ არ არის განსაზღვრული, **ხელშეკრულების** ხელმოწერის ან/და მისი შესრულების შედეგად ერთ-ერთი **მხარის** მიერ მეორე **მხარის** შესახებ მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან/და გაგზავნილი ნებისმიერი ინფორმაცია/დოკუმენტაცია (მათ შორის ინფორმაცია/დოკუმენტაცია **მხარის** პერსონალური, წილობრივი, ფინანსური მონაცემების, **მხარის** მფლობელი/მმართველი/ურთიერთდაკავშირებული **პირ(ებ)ის**, **მესამე პირ(ებ)თან** არსებული გარიგებ(ებ)ის, მფლობელობაში არსებული მოძრავი ან/და უძრავი ობიექტ(ებ)ის, ბიზნეს პროცესის/პროცედურების, მარკეტინგული სტრატეგიის, პროექტ(ებ)ის ან/და სხვა სახის მონაცემების შესახებ) ან/და სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია/დოკუმენტაცია;

1.1.12. **მესამე პირ(ებ)ი** - ნებისმიერი **პირი**, რომელიც არ წარმოადგენს **ხელშეკრულების მხარეს**;

1.1.13. **მხარე/მხარეები** - **ბანკი** ან/და **სერტიფიკატის მფლობელი** კონტექსტის შესაბამისად;

1.1.14. **პირი/პირები** - ფიზიკური პირ(ებ)ი, იურიდიული პირ(ებ)ი (მათ შორის საჯარო სამართლის იურიდიული პირ(ებ)ი), არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირ(ებ)ი ან/და **კანონმდებლობის** საფუძველზე შექმნილი სხვა ორგანიზაციული/არარეგისტრირებული წარმონაქმნ(ებ)ი;

1.1.15. **პირობები** - წინამდებარე დოკუმენტი, რომლითაც განსაზღვრულია **სერტიფიკატ(ებ)ის** გამოშვების, რეგისტრაციის, მიმოქცევისა და დაფარვის ძირითადი/სტანდარტული პირობები და რომელიც წარმოადგენს **ბანკის** მიერ ემიტირებული **სერტიფიკატ(ებ)ის** განუყოფელ ნაწილს და განთავსებულია **ბანკის** ვებ-გვერდზე: www.libertybank.ge;

1.1.16. **საგენტო** ან **დეპოზიტების დაზღვევის საგენტო** - „დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ" საქართველოს კანონის მიზნებისათვის შექმნილი დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - დეპოზიტების დაზღვევის საგენტო;

1.1.17. **საბანკო დღე** - **ბანკის** მიერ დადგენილი სამუშაო დღის (**ბანკის** მიერ განსაზღვრული დასვენების ან/და **კანონმდებლობით** დადგენილი უქმე დღეების გარდა) ის ნაწილი, რომლის განმავლობაშიც **ბანკი** ახორციელებს საბანკო მომსახურებას;

1.1.18. **საპროცენტო განაკვეთი/პროცენტი** - **სერტიფიკატის** საფუძველზე განსაზღვრული და **სერტიფიკატის თანხაზე ბანკის** მიერ დასარიცხი **სარგებლის** წლიური (წელიწადში 365 (სამას სამოცდახუთი) კალენდარული დღე) საპროცენტო განაკვეთის მოცულობა;

1.1.19. **სარგებელი/დარიცხული სარგებელი** - **ბანკის** მიერ **სერტიფიკატის თანხით** სარგებლობის შედეგად **სერტიფიკატის მფლობელისათვის** გადასახდელი სარგებელი, რომელიც გამოითვლება **სერტიფიკატში** მითითებული **პროცენტის** სარგებლობის მთელ პერიოდზე გაანგარიშებით და დისკონტური **სერტიფიკატის** შეთხვევაში გადახდილი იქნება **სერტიფიკატის** მოქმედების ვადის ბოლოს სრულად, ხოლო საპროცენტო **სერტიფიკატის** შემთხვევაში ყოველ კალენდარულ თვეს შესაბამისი პროპორციით (ყოველთვიური გადასახდელი თანხა იანგარიშება შემდეგი ფორმულით: წლიური **სარგებლის** თანხა გაყოფილი 12-ზე (წელიწადში არსებული თვეების რაოდენობა));

1.1.20. **სერტიფიკატი** - **ბანკის** მიერ **სერტიფიკატის გამოშვების პირობების** შესაბამისად ემიტირებული, არამატერიალიზებული მიმოქცევადი ფინანსური ინსტრუმენტ(ებ)ი (დეპოზიტი), რის სანაცვლოდაც **სერტიფიკატის მფლობელი ბანკს** უხდის **სერტიფიკატის თანხას**, ხოლო **ბანკი სერტიფიკატის მფლობელს სერტიფიკატის** პირობით გათვალისწინებულ დღეს გადასცემს **სერტიფიკატის** პირობით გათვალისწინებულ თანხას (**სერტიფიკატის თანხა** ან/და **დარიცხული სარგებელი**).

1.1.21. **სერტიფიკატის თანხა** - სერტიფიკატის შესყიდვის ფასი, რომლის გადახდის სანაცვლოდაც **სერტიფიკატის მფლობელი** იძენს **სერტიფიკატს**;

1.1.22. **სერტიფიკატის გამოშვების პირობები** - წინამდებარე **პირობების დანართი** (მოწვევა ოფერტზე), რომელიც ასევე განთავსებულია **ბანკის** ვებ-გვერდზე (www.libertybank.ge;) და წარმოადგენს **ხელშეკრულების** განუყოფელ ნაწილს და მოიცავს მინიმუმ შემდეგ პირობებს: (ა) **სერტიფიკატის** ტიპს (დისკონტური ან/და საპროცენტო); (ბ) **სერტიფიკატის** გამოშვების მინიმალურ ოდენობას; (გ) **სერტიფიკატის** ვადიანობას და სხვა;

1.1.23. **სერტიფიკატის გასხვისება** - **ხელშეკრულებით** დადგენილი პირობებით **სერტიფიკატის მფლობელის** მიერ **მესამე პირ(ებ)ისთვის სერტიფიკატზე** მოთხოვნის უფლების გადაცემა;

1.1.24. **სერტიფიკატის მფლობელი** - **პირი**, რომელმაც შეიძინა და რომელიც ფლობს **ბანკის** მიერ ემიტირებულ **სერტიფიკატს**;

1.1.25. **სერტიფიკატის ნომინალი** - **სერტიფიკატის მფლობელის** მიერ **სერტიფიკატის** მოქმედების ვადის ბოლოს მისაღები თანხა;

1.1.26. **სერტიფიკატის პირობით გათვალისწინებული თანხის დათვლის ფორმულები - პირობების დანართი №1**-ით განსაზღვრული **სერტიფიკატის** პირობით გათვალისწინებული თანხის (**სერტიფიკატის მიმდინარე ღირებულების**) დათვლის ფორმულები;

1.1.27. **სერტიფიკატის რეესტრი** - რეესტრი, რომელსაც აწარმოებს **ბანკი** და რომელშიც აღრიცხულია (მათ შორის ელექტრონულად) ემიტირებული **სერტიფიკატის** პირობები, მისი მფლობელის მონაცემები, მფლობელობაში გადაცემული სერტიფიკატების რაოდენობა და ა.შ.;

1.1.28. **სერტიფიკატის შეძენა** - **სერტიფიკატის მფლობელის** მიმართვის საფუძველზე **ბანკის** მიერ **სერტიფიკატის** შეძენა. ამასთან, **სერტიფიკატის** შეძენის შესახებ თანხმობის მიცემა წარმოადგენს **ბანკის** უფლებას და არა ვალდებულებას;

1.1.29. **სტანდარტული სერტიფიკატი** - **ბანკის** მიერ, „კომერციული ბანკების სტანდარტული სადეპოზიტო სერტიფიკატების დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2012 წლის 3 მაისის #49/04 ბრძანების შესაბამისად, საქართველოს ეროვნულ ვალუტაში, ემიტირებული **სერტიფიკატი**;

1.1.30. **ფორს-მაჟორი/ფორს-მაჟორული გარემოებ(ებ)ი** - **ხელშეკრულების** ხელმოწერის შემდეგ წარმოშობილი დაუძლეველი ძალის გარემოებები, სტიქიური მოვლენები, კატაკლიზმები, ომი, სამოქალაქო არეულობა, გაფიცვა, ლოკაუტი, კარანტინი, საკანონმდებლო, აღმასრულებელი ხელისუფლების ან/და თვითმმართველობის ორგანოების, საერთაშორისო საგადამხდელო სისტემების გადაწყვეტილებები და ა.შ. რომელიც: (ა) არ არის დაკავშირებული **მხარეთა** ქმედებასთან ან/და უმოქმედობასთან; და (ბ) შეუძლებელს ხდის **მხარეთა** მიერ **ხელშეკრულებით** ნაკისრი ვადამოსული ვალდებულებ(ებ)ის სრულ და ჯეროვან შესრულებას;

1.1.31. **ხელშეკრულება** - **სერტიფიკატის მფლობელის** მიერ **ბანკისათვის** წარდგენილი **განაცხადის**, ხელმოწერილი **სერტიფიკატის**, წინამდებარე **პირობების**, **სერტიფიკატის გამოშვების პირობების** ან/და ნებისმიერი დამატებითი **განაცხად(ებ)ის**, **დანართ(ებ)ის** ერთობლიობა, რომელიც დაიდო/დაიდება ხელშეკრულებასთან დაკავშირებით და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს და რომლის საფუძველზეც და პირობების შესაბამისადაც **ბანკი** ახორციელებს **სერტიფიკატის მფლობელის** მომსახურებას;

2. სერტიფიკატის მფლობელის განცხადებები და გარანტიები

2.1. **სერტიფიკატის მფლობელი** აცხადებს და გარანტიას იძლევა, რომ:

2.1.1. წარმოადგენს უფლებაუნარიან და ქმედუნარიან პირს, რომელსაც **ხელშეკრულების** დადების, **სერტიფიკატის** შეძენის მიზნით მოპოვებული აქვს ყველა საჭირო თანხმობა, ნებართვა ან/და დავალება (მინდობილობა);

2.1.2. მის (**სერტიფიკატის მფლობელის**) მიერ **ხელშეკრულების** დადება (**სერტიფიკატის** შეძენა) ან/და **ხელშეკრულების** შესრულება არ მოდის წინააღმდეგობაში **კანონმდებლობასთან**, არ იწვევს სხვა სახელშეკრულებო ურთიერთობებით ნაკისრი/განსაზღვრული ვალდებულებ(ებ)ის დარღვევას და არ წარმოშობს **მესამე პირ(ებ)ისათვის ხელშეკრულებაზე** შეცილების უფლებას;

2.1.3. **ხელშეკრულების** დადების მიზნით, **ბანკისათვის** წარდგენილი ინფორმაცია არის უტყუარი და ზუსტი, ხოლო წარდგენილი დოკუმენტები წარმოადგენს სრულ და მოქმედ რედაქციას;

2.1.4. **ხელშეკრულების** დადების მიზნით, **ბანკის** ან/და **მესამე პირ(ებ)ის** მხრიდან ადგილი არ ჰქონია, **სერტიფიკატის მფლობელის** ან მისი ახლობლების

მიმართ იძულებას, მოტყუებას ან/და მუქარას, **ბანკს** არ გამოუყენებია ბოროტად **ბანკის** საბაზრო ძალაუფლება;

2.2. **სერტიფიკატის მფლობელი** ვალდებულია დაუყოვნებლივ შეატყობინოს **ბანკს** ნებისმიერი გარემოებ(ებ)ის შესახებ, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს **ხელშეკრულებაში** მითითებული **განცხადებებისა და გარანტიების** ან/და **ხელშეკრულებით** ნაკისრი ნებისმიერი ვალდებულებ(ებ)ის დარღვევა.

2.3. **მხარეები** აცნობიერებენ და თანხმდებიან, რომ **ხელშეკრულებას** დებენ **განცხადებებსა და გარანტიებზე** დაყრდნობით და თვლიან მათ **ხელშეკრულების** პირობებად. შესაბამისად, **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული **განცხადებების და გარანტიების** დარღვევა საკმარის საფუძველს წარმოადგენს **ბანკის** მიერ **ხელშეკრულებაზე** ცალმხრივი უარის სათქმელად.

3. ხელშეკრულების ძირითადი პირობები

3.1. ***სერტიფიკატის შეძენა (პირველადი ვაჭრობა).*** **სერტიფიკატის** შეძენამდე, დაინტერესებული **პირი** ვალდებულია **ბანკში** იქონიოს აქტიური საბანკო ანგარიშ(ებ)ი.

3.2. **სერტიფიკატის** შეძენით დაინტერესებული **პირი** უფლებამოსილია მიმართოს **ბანკს** შეძენის **განაცხადით**, რომელშიც მითითებული იქნება **სერტიფიკატის გამოშვების პირობებიდან** გამომდინარე ის კონკრეტული პირობები, რა პირობებითაც სურს დაინტერესებულ **პირს სერტიფიკატის** შეძენა (**სერტიფიკატის** სანაცვლოდ **სერტიფიკატის თანხის ბანკისათვის** გადახდა).

3.3. **სერტიფიკატის** გაცემა დამოკიდებულია მხოლოდ **ბანკის** ნებაზე. **ბანკი** ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განიხილავს **სერტიფიკატის** შეძენის **განაცხადს** და დამოუკიდებლად წყვეტს მას. შეძენის **განაცხადი** არ ავალდებულებს **ბანკს** ნებისმიერ შემთხვევაში გასცეს **სერტიფიკატი**, ის მხოლოდ განსაზღვრავს მოთხოვნილი **სერტიფიკატის** მინიმალურ წინაპირობებს და არეგულირებს **სერტიფიკატის** ემისის საფუძველზე **ბანკსა** და **სერტიფიკატის მფლობელს** შორის წარმოშობილ ურთიერთობებს.

3.4. შეძენის **განაცხადის** დაკმაყოფილების შემთხვევაში, **სერტიფიკატის მფლობელი ბანკს** ანიჭებს უფლებამოსილებას, **ბანკმა სერტიფიკატის მფლობელის** მომსახურე **ანგარიშიდან** უაქცეპტო წესით ჩამოჭრას **სერტიფიკატის თანხა** და უზრუნველყოს მისი გადატანა **ბანკის** შესაბამის საბანკო ანგარიშზე. ამასთან, თუ **სერტიფიკატის მფლობელის** მომსახურე **ანგარიშზე** ზემოხსენებული თანხა არ არსებობს ან არასაკმარისია, **სერტიფიკატის მფლობელი** ვალდებულია **სერტიფიკატის** მიღებამდე უზრუნველყოს აღნიშნული თანხის თავის მომსახურე **ანგარიშზე** განთავსება.

3.5. **განაცხადის** დაკმაყოფილების შემთხვევაში, **სერტიფიკატის** გაცემა (ემისია) დასტურდება **მხარეთა** მიერ ხელმოწერილი **სერტიფიკატით** და **ბანკის** მიერ, **სერტიფიკატის მფლობელის** მოთხოვნისას, მისთვის გადაცემული **ამონაწერით**.

3.6. **სერტიფიკატის** გაცემის (ემისიის) შემდგომ დაუშველია მასში (**სერტიფიკატში**) რაიმე სახის ცვლილებების ან/და დამატებების შეტანა.

3.7. ***სარგებლის დარიცხვა.*** **ბანკი** ვალდებულია დაარიცხოს **სერტიფიკატის თანხას სარგებელი სერტიფიკატის** 2.2.2. ქვეპუნქტში მითითებული **საპროცენტო განაკვეთის** გათვალისწინებით, ხოლო **სერტიფიკატის** 2.1.2.1. ქვეპუნქტით განსაზღვრული ვადის ამოწურვისას დაუბრუნოს **სერტიფიკატის მფლობელს სერტიფიკატის თანხა** და **დარიცხული სარგებელი** (ასეთის არსებობისას), რის შედეგადაც **ბანკის** მიერ ხორციელდება **სერტიფიკატის რეესტრში** შესაბამისი ჩანაწერის გაუქმება და წყდება **სერტიფიკატით** განსაზღვრული **სარგებლის** დარიცხვა.

3.8. **ბანკი** ვალდებულია **სერტიფიკატის მფლობელს** მომსახურე **ანგარიშზე** ჩაურიცხოს **დარიცხული სარგებელი სერტიფიკატის** 2.2.4. ქვეპუნქტით განსაზღვრული პირობით, იმის გათვალისწინებით, რომ:

3.8.1. თუ **სერტიფიკატით** განსაზღვრულია **სარგებლის სერტიფიკატის მფლობელისათვის** ყოველთვიურად გაცემა (საპროცენტო სადეპოზიტო სერტიფიკატი), **სარგებელი** მომსახურე **ანგარიშზე** ჩაირიცხება ყოველი მომდევნო თვის იმავე რიცხვში, რომელშიც **მხარეთა** მიერ ხელი მოეწერა **სერტიფიკატს**. ხოლო, თუ კონკრეტულ კალენდარულ თვეში არ არსებობს **სერტიფიკატის** ხელმოწერის კალენდარული რიცხვი, **სარგებლის** ჩარიცხვა **სერტიფიკატის მფლობელის** მომსახურე **ანგარიშზე** განხორციელდება აღნიშნული კალენდარული თვის ბოლო რიცხვში;

3.8.2. თუ **სერტიფიკატით** განსაზღვრულია **სარგებლის სერტიფიკატის მფლობელისათვის სერტიფიკატის** მოქმედების ვადის ბოლოს გაცემა (დისკონტური სადეპოზიტო სერტიფიკატი), **სარგებელი სერტიფიკატის მფლობელის** მომსახურე **ანგარიშზე** ჩაირიცხება **სერტიფიკატის** 2.1.2.1. ქვეპუნქტში მითითებული ვადის ბოლო კალენდარულ დღეს.

3.9. თუ **სერტიფიკატით** განსაზღვრულია **სარგებლის სერტიფიკატის მფლობელისათვის** ყოველთვიურად გაცემა (საპროცენტო სადეპოზიტო სერტიფიკატი), **სერტიფიკატის მფლობელი** უფლებამოსილია **დარიცხული სარგებელი** მოითხოვოს/გაიტანოს (გადარიცხოს) **სერტიფიკატის** 2.2.4. ქვეპუნქტებში მითითებული პერიოდულობით.

3.10. ***სერტიფიკატის გასხვისება (მეორადი ვაჭრობა). გირავნობა.*** **სერტიფიკატის** მოქმედების ვადის განმავლობაში **სერტიფიკატის მფლობელი** უფლებამოსილია გაასხვისოს **სერტიფიკატი**. **სერტიფიკატის გასხვისება** შესაძლებელია განხორციელდეს **მესამე პირზე**.

3.11. **მესამე პირზე სერტიფიკატის გასხვისებისას სერტიფიკატის მფლობელმა სერტიფიკატის მყიდველი** შესაძლოა მოიძიოს, როგორც უშუალოდ, ასევე **ბანკის** საშუალებით/შუამავლობით, **ბანკისათვის** წარგენილი გასხვისების **განაცხადის**/დავალების საფუძველზე.

3.12. თუ **სერტიფიკატის გასხვისება** ხდება **ბანკის** შუამავლობით, ასეთ შემთხვევაში **სერტიფიკატის მფლობელი** უფლებამოსილია **ბანკს** წარუდგინოს, **ბანკის** მიერვე განსაზღვრული, **განაცხადი** (გასხვისების დავალება). ამასთან, მეორადი **სერტიფიკატის** შეძენით დაინტერესებული **მესამე პირი** უფლებამოსილია დამოუკიდებლად მიმართოს **ბანკს სერტიფიკატის** შეძენის **განაცხადით**, რომელშიც მითითებული იქნება ის კონკრეტული პირობები, რა პირობებითაც სურს დაინტერესებულ **პირს სერტიფიკატის მფლობელისაგან სერტიფიკატის** შეძენა.

3.13. შეძენის ან/და გასხვისების **განაცხადის** წარდგენა არ ავალდებულებს **ბანკს** ნებისმიერ შემთხვევაში მოიძიოს **სერტიფიკატის მყიდველი** ან/და **სერტიფიკატის გამყიდველი**, ის მხოლოდ განსაზღვრავს **სერტიფიკატის** გასხვისების/შეძენის მინიმალურ წინაპირობებს და არეგულირებს **სერტიფიკატის** გასხვისების/შეძენის შემთხვევაში **ბანკსა** და **სერტიფიკატის გამყიდველს/მყიდველს** შორის წარმოშობილ ურთიერთობებს.

3.14. **სერტიფიკატის გასხვისების** შემთხვევაში, **სერტიფიკატის გამყიდველი** ან/და **მყიდველი** ვალდებული არიან **ბანკს** გადაუხადონ **სერტიფიკატის** 2.3 ქვეპუნქტით განსაზღვრული **გასხვისების საკომისიო.**

3.15. **სერტიფიკატის** გასხვისებისას, **სერტიფიკატის მყიდველზე სერტიფიკატის** გადაცემა უნდა მოხდეს სრულად. **სერტიფიკატის** ნაწილობრივ გასხვისება დაუშვებელია.

3.16. **სერტიფიკატი გასხვისებულად** ჩაითვლება მას შემდეგ რაც: (ა) **სერტიფიკატის მყიდველი ბანკში** გასხნის **ანგარიშს**; (ბ) **ბანკი** მის (**ბანკის**) მიერვე განსაზღვრული ფორმით, მიიღებს **სერტიფიკატის გასხვისების განაცხადს**/დავალებას; (გ) განხორციელდება **ბანკის** მიმართ ანგარიშსწორება; და (დ) **ბანკი სერტიფიკატის გასხვისების** თაობაზე შესაბამის ჩანაწერს გააკეთებს **სერტიფიკატის რეესტრში**. **სერტიფიკატის** გასხვისების შემთხვევაში **სერტიფიკატის მყიდველს ბანკი** გადასცემს **ამონაწერს**.

3.17. ყოველ ჯერზე **სერტიფიკატის გასხვისებისას ხელშეკრულებით** განსაზღვრული მოთხოვნები და უფლებები **სერტიფიკატის მყიდველზე** გადადის ისეთსავე მდგომარეობაში, როგორშიც ისინი **სერტიფიკატის გამყიდველის** ხელში იყვნენ და **სერტიფიკატის მყიდველი** იკავებს **სერტიფიკატის გამყიდველის** ადგილს.

3.18. **სერტიფიკატის** გასხვისებისას ფასთაშორისი სხვაობის სახით (არასაპროცენტო) შემოსავლის მიღების შემთხვევაში, **სერტიფიკატის გამყიდველი** ვალდებულია თავად უზრუნველყოს ამ შემოსავლის დეკლარირება და შესაბამისი გადასახადის გადახდა **კანონმდებლობით** დადგენილი წესით.

3.19. **სერტიფიკატის** მოქმედების განმავლობაში **სერტიფიკატის მფლობელი** უფლებამოსილია განახორციელოს **სერტიფიკატის** დაგირავება.

3.20. **სერტიფიკატის** ნაწილობრივ დაგირავება (მაგალითად **სარგებლის** დაგირავება) დაუშვებელია. ნებისმიერი გარიგება **სერტიფიკატის მფლობელსა** და **მესამე პირ(ებ)ს** შორის, რომელიც არღვევს წინამდებარე ვალდებულებას ჩაითვლება ბათილად.

3.21. ***სერტიფიკატის ბანკის მიერ შეძენა.*** **სერტიფიკატის** მოქმედების განმავლობაში **ბანკი** უფლებამოსილია: **სერტიფიკატის მფლობელის** მიმართვის საფუძველზე თავად შეიძინოს **სერტიფიკატი** (შემდგომში - **სერტიფიკატის შეძენა**).

3.22. **სერტიფიკატის მფლობელისათვის** ცნობილია და ეთანხმება, რომ **ბანკის** მიერ **სერტიფიკატის შეძენა** წარმოადგენს **ბანკის** უფლებამოსილებას და არა მის ვალდებულებას.

3.23. **სერტიფიკატის ბანკის** მიერ შეძენის შემთხვევაში **ბანკი სერტიფიკატის მფლობელს სერტიფიკატის** შეძენის სანაცვლოდ გადაუხდის **სერტიფიკატის გამოშვების პირობებით** განსაზღვრულ საფასურს.

3.24. **სერტიფიკატის გამოშვების პირობებით** განსაზღვრული **ბანკის** მიერ **სერტიფიკატის** შეძენის საფასურის მიუხედავად, **ბანკი** უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს საკუთარი შეხედულებისამებრ, **სერტიფიკატის მფლობელს** შესთავაზოს **სერტიფიკატის** განსხვავებული შეძენის საფასური.

3.25. **ბანკის** მიერ **სერტიფიკატის** შეძენა ავტომატურად იწვევს **ხელშეკრულების** შეწყვეტას.

3.26. **ბანკის** მიერ **სერტიფიკატის შეძენისას** ფასთაშორისი სხვაობის სახით (არასაპროცენტო) შემოსავლის მიღების შემთხვევაში, **ბანკი** ვალდებულია თავად უზრუნველყოს ამ შემოსავლის დეკლარირება და შესაბამისი გადასახადის გადახდა **კანონმდებლობით** დადგენილი წესით.

3.27. ***სხვა დამატებითი პირობები.*** **ბანკი** უფლებამოსილია განკარგოს **სერტიფიკატის თანხა** საკუთარი სახელითა და შეხედულებისამებრ.

3.28. **სერტიფიკატის მფლობელი** (**სერტიფიკატის მყიდველი**) აცხადებს წინასწარ თანხმობას **ბანკის** სრულ უფლებამოსილებაზე, **ბანკმა** საკუთარი შეხედულებისამებრ:

3.28.1. განახორციელოს **ბანკში სერტიფიკატის მფლობელის** (**სერტიფიკატის მყიდველის**) **ანგარიშზე** არსებული თანხების სრული ან/და ნაწილობრივი ბლოკირება;

3.28.2. **სერტიფიკატის მფლობელის** (**სერტიფიკატის მყიდველის**) ნებისმიერი სახის **ბანკში** არსებული **ანგარიშიდან** უაქცეპტოდ ჩამოწეროს ყველა გადასახდელი (მათ შორის ერთმნიშვნელოვნად საკომისიო, პირგასამტეხლო, ზიანის/ზარალის ანაზღაურების თანხები) და მიმართოს **სერტიფიკატის მფლობელის** (**სერტიფიკატის მყიდველის**) **ბანკის** მიმართ არსებული ფულადი ვალდებულების ან/და სხვა ვალდებულებების დასაფარად/შესამცირებლად (ასეთების არსებობისას);

3.28.3. თუ გადასახდელი და **ანგარიშზე** რიცხული თანხა სხვადასხვა ვალუტაშია, **ბანკმა** თავად განახორციელოს კონვერტაცია გადახდის თარიღისათვის **ბანკში** მოქმედი კომერციული კურსით, ხოლო კონვერტაციის მომსახურების ღირებულება ასევე უაქცეპტოდ ჩამოწეროს **სერტიფიკატის მფლობელის** (**სერტიფიკატის მყიდველის**) **ანგარიშიდან**.

3.29. **სერტიფიკატის მფლობელი** ვალდებულია სრულად შეინახოს **ხელშეკრულებასთან** დაკავშირებული დოკუმენტაცია.

4. ხელშეკრულების მოქმედება და ხელშეკრულების შეწყვეტა

4.1. **ხელშეკრულება** ძალაში შედის **სერტიფიკატის მფლობელის** მიერ **სერტიფიკატის** ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს **მხარეთა** მიერ **ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე.

4.2. **ხელშეკრულების** ვადამდე შეწყვეტა და **სერტიფიკატის თანხის** ვადამდე მოთხოვნა **ბანკისაგან, სერტიფიკატის** მოქმედების ვადის ამოწურვამდე, დაუშვებელია. **ხელშეკრულების** ვადამდე შეწყვეტა დასაშვებია მხოლოდ **ბანკის** მიერ **სერტიფიკატის** შეძენის შეთხვევაში. ამასთან, **სერტიფიკატის** შეძენა წარმოადგენს **ბანკის** უფლებამოსილებას და არა მის ვალდებულებას.

4.3. **სერტიფიკატის** მოქმედების ვადის ამოწურვის შემთხვევაში, **სერტიფიკატის** ნომინალი (**სერტიფიკატის თანხა** ან/და **დარიცხული სარგებელი**) **ბანკის** მიერ ჩაირიცხება **სერტიფიკატის** 2.1.3. ქვეპუნქტში მითითებულ მომსახურე **ანგარიშზე** და **ბანკი** შეწყვეტს **სერტიფიკატის თანხაზე სარგებლის** დარიცხვას.

4.4. **ხელშეკრულების** შეწყვეტა არ ათავისუფლებს **სერტიფიკატის მფლობელს ხელშეკრულებით** ნაკისრი ან/და **კანონმდებლობით** დადგენილი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებისაგან (გადახდისაგან) ამგვარი ვალდებულების იძულებითი ან ნებაყოფლობითი შესრულების მომენტამდე.

4.5. თუ **ხელშეკრულებით** სხვა რამ არ არის განსაზღვრული, **ხელშეკრულების** შეწყვეტის შემთხვევაში **ბანკი** თავისუფლდება **ხელშეკრულებით** ნაკისრი ან/და **კანონმდებლობით** დადგენილი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებისაგან.

5. კომუნიკაცია

5.1. **მხარეთა** შორის ნებისმიერი ურთიერთობა უნდა განხორციელდეს წერილობითი ფორმით და მიეწოდოს **მხარეს სერტიფიკატში** ან/და **ბანკთან** არსებულ სხვა ხელშეკრულებ(ებ)ში მითითებულ საკონტაქტო მონაცემებზე პირადად, კურიერის (მათ შორის რეგისტრირებული ფოსტის ან/და სასამართლო კურიერის), ელექტრონული ფოსტის, ფიჭური კავშირგაბმულობის (მოკლეტექსტური შეტყობინების), ინტერნეტ-ბანკის, მობაილ-ბანკის ან/და **ბანკის** მიერ შემდგომში განსაზღვრული კომუნიკაციის სხვა საშუალებებით, იმის გათვალისწინებით, რომ:

5.1.1. **სერტიფიკატის მფლობელის** მიერ **ბანკისათვის** პირადად ან/და კურიერის საშუალებით გაგზავნილი შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება **ბანკის** კანცელარიაში შეტყობინების რეგისტრაციის დღეს, ხოლო ელექტრონული ფოსტის მისამართზე გაგზავნისას, **ბანკის** მიერ - **სერტიფიკატის მფლობელისათვის** მიღების დამადასტურებელი საპასუხო ელექტრონული წერილის გაგზავნის დღეს;

5.1.2. **ბანკის** მიერ **სერტიფიკატის მფლობელისათვის** კურიერის (მათ შორის რეგისტრირებული ფოსტის ან/და სასამართლო კურიერის) საშუალებით გაგზავნილი შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება **სერტიფიკატის მფლობელისათვის** ჩაბარების დღეს, ხოლო აღნიშნული ჩაბარების დადასტურების არ არსებობის შემთხვევაში **სერტიფიკატის მფლობელის** მისამართზე შეტყობინების ნებისმიერი პირისთვის ჩაბარებიდან მომდევნო კალენდარულ დღეს;

5.1.3. **ბანკის** მიერ **სერტიფიკატის მფლობელისათვის** ელექტრონული ფოსტის საშუალებით გაგზავნილი შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება **სერტიფიკატის მფლობელის** ელექტრონული ფოსტის სერვერიდან მიღებული დასტურის (ადრესატის ელექტრონულ ფოსტაში რეგისტრაციის შესახებ შეტყობინების) გაცემის დღეს. ხოლო ასეთი დასტურის არ არსებობის შემთხვევაში მომდევნო კალენდარულ დღეს;

5.1.4. **ბანკის** მიერ **სერტიფიკატის მფლობელისათვის** ფიჭური კავშირგაბმულობის (მოკლეტექსტური შეტყობინების), ინტერნეტ-ბანკის, მობილ-ბანკის ან/და **ბანკის** მიერ შემდგომში განსაზღვრული კომუნიკაციის სხვა საშუალებებით გაგზავნილი შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება შეტყობინების გაგზავნიდან მომდევნო კალენდარულ დღეს.

5.2. იმ შეთხვევაში, თუ **სერტიფიკატის მფლობელი სერტიფიკატით** გათვალისწინებული ნებისმიერი საკონტაქტო მონაცემის (მათ შორის **ხელშეკრულებაში** არსებული ნებისმიერი რეკვიზიტის) ცვლილების შესახებ წინასწარ არ შეატყობინებს **ბანკს** ან/და უშუალოდ ან საკონტაქტო პირის საშუალებით უარს განაცხადებს **ხელშეკრულების** საფუძველზე გაგზავნილი შეტყობინების მიღებაზე, **ბანკის** მიერ განხორციელებული ნებისმიერი ასეთი შეტყობინება ჩაითვლება ჩაბარებულად შეტყობინების გაგზავნიდან მომდევნო კალენდარულ დღეს.

5.3. **მხარეთა** შორის კომუნიკაცია ხორციელდება ქართულ ენაზე, ამასთან, **ბანკი** უფლებამოსილია **სერტიფიკატის მფლობელთან** კომუნიკაცია განახორციელოს **სერტიფიკატის მფლობელისათვის** მისაღებ სხვა ენაზეც.

5.4. **ბანკი** უფლებამოსილია განახორციელოს **სერტიფიკატის მფლობელთან** კომუნიკაცია სხვადასხვა მიზნით. შესაბამისად, **სერტიფიკატის მფლობელისთვის** განკუთვნილი შეტყობინება (როგორც წერილობითი ასევე ზეპირი) შესაძლოა ატარებდეს (ა) საინფორმაციო/ტრანზაქციულ (მაგალითად ინფორმაცია **სერტიფიკატის მფლობელის ანგარიშზე** შესრულებული ოპერაციების შესახებ, წვდომის კოდების **სერტიფიკატის მფლობელისთვის** მიწოდება და სხვა), (ბ) სახელშეკრულებო-ვალდებულებით (მაგალითად, ვალდებულების შესრულების მოთხოვნა და სხვა), (გ) მარკეტინგულ (მაგალითად, ახალი ანაბრის ან სხვა პროდუქტის შეთავაზება და სხვა) ან/და **კანონმდებლობით** განსაზღვრულ შინაარსს.

5.5. **ბანკი** უფლებამოსილია **სერტიფიკატის მფლობელთან** კომუნიკაციისას გამოიყენოს **ბანკში სერტიფიკატის მფლობელის** ან მისი თანხმობით მესამე პირების მიერ **სერტიფიკატის მფლობელის** შესახებ დაფიქსირებული, ან თავად **სერტიფიკატის მფლობელის** მიერ **მესამე პირების** შესახებ მითითებული ნებისმიერი საკონტაქტო მონაცემი. ერთი სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში დაფიქსირებული **სერტიფიკატის მფლობელის** ან/და მესამე პირ(ებ)ის საკონტაქტო მონაცემები (მიუხედავად იმისა მოქმედია თუ არა აღნიშნული ხელშეკრულება), **ბანკის** მიერ შესაძლებელია გამოყენებული იქნას, ამავე ან/და სხვა **სერტიფიკატის მფლობელის** ან/და **სხვა მესამე პირების ბანკთან** არსებული სხვა სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში კომუნიკაციის მიზნით და პირიქით.

5.6. **სერტიფიკატის მფლობელი** თავად არის პასუხისმგებელი იმ შედეგებზე, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს საკონტაქტო მონაცემების გამოყენებისას კონფიდენციალურობის დარღვევის შედეგად. თუ **სერტიფიკატის მფლობელს** არ სურს **ბანკმა** ისარგებლოს რომელიმე საკონტაქტო მონაცემით, **სერტიფიკატის მფლობელმა** აღნიშნული მოთხოვნით **ბანკს** უნდა მიმართოს წერილობით.

6. კონფიდენციალურობა

6.1. **მხარე** ვალდებულია, როგორც **ხელშეკრულების** მოქმედების ვადაში, ასევე სახელშეკრულებო ურთიერთობის დასრულების შემდეგაც, არ გაამჟღავნოს ან/და **მესამე პირ(ებ)ს** არ გადასცეს **კონფიდენციალური ინფორმაცია**.

6.2. **კონფიდენციალურ ინფორმაციას** არ განეკუთვნება: (ა) ინფორმაცია რომელიც **კანონმდებლობის** საფუძველზე არის/გახდება საჯარო; (ბ) ინფორმაცია, რომლის გამჟღავნების თაობაზეც არსებობს **კონფიდენციალური ინფორმაციის** მესაკუთრე **მხარის** წინასწარი წერილობითი თანხმობა ან/და **მხარეთა** შეთანხმება; (გ) ინფორმაცია, რომლის გამჟღავნებაც განხორციელდება, **კანონმდებლობით** გათვალისწინებულ შემთხვევებში, მათ შორის **მესამე პირ(ებ)ის** კანონიერი მოთხოვნის დაკმაყოფილების შედეგად.

6.3. **სერტიფიკატის მფლობელი ბანკს** ანიჭებს უფლებამოსილებას, ფინანსური ან/და საინფორმაციო-ანალიტიკური მონაცემების შეგროვების მიზნით, **მესამე პირ(ებ)ს** გადასცეს ან/და **მესამე პირ(ებ)ისაგან** (მათ შორის ს.ს.ი.პ. სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო და სხვა) მიიღოს, **სერტიფიკატის მფლობელის** შესახებ არსებული **კონფიდენციალური ინფორმაცია**.

7. პრეტენზიები და დავები

7.1. **ხელშეკრულებიდან** გამომდინარე ყველა დავა უნდა გადაწყდეს **მხარეთა** შორის მოლაპარაკების გზით.

7.2. დავის მოუგვარებლობის შემთხვევაში, **მხარეები** მიმართავენ სასამართლოს **ბანკის** ადგილსამყოფელის მიხედვით. ამასთან, **მხარეები** თანხმდებიან, რომ დავასთან დაკავშირებით პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ **ბანკის** სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილება მიქცეული იქნება დაუყოვნებლივ აღსასრულებლად.

7.3. **სერტიფიკატის მფლობელი** უფლებამოსილია, გაწეულ საბანკო მომსახურებასთან დაკავშირებით პრეტენზიის არსებობის შემთხვევაში, პრეტენზიის წარმოშობიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში, აცნობოს **ბანკს** აღნიშნულის შესახებ ზეპირი ან წერილობითი ფორმით **ბანკის** ფილიალების ან/და სერვის-ცენტრების მეშვეობით, ან/და ელექტრონული ფორმით **ბანკის** კორპორატიული ვებ გვერდის www.libertybank.ge ან/და ელ-ფოსტა ConsumerProtection@lb.ge საშუალებით, **ხელშეკრულებით** განსაზღვრული წესით, **ბანკში** დადგენილი პროცედურის შესაბამისად.

7.4. **ბანკის** მიერ პრეტენზიის განხილვის და შესაბამისი პასუხის მიღების მაქსიმალური ვადა შეადგენს 1 (ერთი) თვეს.

7.5. **სერტიფიკატის მფლობელს** შესაძლებლობა აქვს გაეცნოს **ბანკის** მიერ პრეტენზიების განხილვის პროცედურას **ბანკის** ვებ გვერდის www.libertybank.ge საშუალებით.

8. ფორს-მაჟორი

8.1. **მხარე** არ არის პასუხისმგებელი მის მიერ **ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობაზე ან/და არაჯეროვან შესრულებაზე, თუ აღნიშნული შეუსრულებლობა ან/და არაჯეროვანი შესრულება განპირობებულია **ფორს-მაჟორული გარემოებ(ებ)ის** მოქმედების შედეგად.

8.2. **ფორს-მაჟორის** მოქმედების განმავლობაში, **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული ვალდებულებები და მათი შესრულების ვადები შეჩერდება და გადავადდება **ფორს-მაჟორის** ხანგრძლივობის შესაბამისად. აღნიშნული ვადების დინება ან/და ვალდებულებების შესრულების პირობა განახლდება **ფორს-მაჟორული გარემოებ(ებ)ის** აღმოფხვრისთანავე.

9. სხვა პირობები

9.1. თუ **სერტიფიკატის** დაბრუნების ან/და მასზე **დარიცხული სარგებლის ანგარიშზე** განთავსების თარიღი ემთხვევა არა **საბანკო დღეს**, **სერტიფიკატის მფლობელის** მიერ თანხის გატანა (გადარიცხვა) განხორციელდება მომდევნო **საბანკო დღეს**.

9.2. თუ **ხელშეკრულებით** სხვა რამ არ არის განსაზღვრული, გარდა **სერტიფიკატის** პირობებისა, **ბანკი** იტოვებს უფლებას ნებისმიერ დროს ცალმხრივად შეცვალოს წინამდებარე **ხელშეკრულება** (მათ შორის

ერთმნიშვნელოვნად **პირობები** ან/და **სერტიფიკატის გამოშვების პირობები**) იმისათვის, რომ იგი შესაბამისობაში მოვიდეს **ბანკში** დადგენილ ახალ წესებთან/გადაწყვეტილებებთან, შეცვლილ საბაზრო პირობებთან, საბანკო პრაქტიკასთან ან/და **კანონმდებლობასთან**. წინამდებარე **პირობების** ან/და **სერტიფიკატის გამოშვების პირობების** ცვლილების შემთხვევაში, **ბანკი სერტიფიკატის მფლობელს** აღნიშნულის თაობაზე შეატყობინებს **ბანკის** საინფორმაციო საშუალებების (**ბანკის** ვებ-გვერდზე ცვლილებების განთავსებით ან/და **ხელშეკრულებით** განსაზღვრული კომუნიკაციის არხებით) მეშვეობით.

9.3. **ხელშეკრულების** რომელიმე მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის **კანონმდებლობის** საფუძველზე ბათილად ცნობის/ძალადაკარგულად გამოცხადების შემთხვევაში დანარჩენი მუხლ(ებ)ი, პუნქტ(ებ)ი, ქვეპუნქტ(ებ)ი ინარჩუნებენ იურიდიულ ძალას.

9.4. დაუშვებელია **ხელშეკრულებაში** ხელით (მათ შორის კალმით ან/და სხვა საწერი საშუალებებით) რაიმე სახის ჩასწორების/კორექტირების შეტანა, ნებისმიერი ასეთი სახის ჩასწორება/კორექტირება ჩაითვლება ბათილად და ვერ მოახდენს გავლენას **ხელშეკრულების** პირობ(ებ)ის ინტერპრეტაციაზე.

9.5. **ხელშეკრულების** პირობების მოქმედება სრულად ვრცელდება **მხარეებზე**, მათ თანამშრომლებზე, წარმომადგენლებზე, სამართალმემკვიდრეებსა და უფლებამონაცვლეებზე.

9.6. **ხელშეკრულება** რეგულირდება და განიმარტება **კანონმდებლობის** შესაბამისად. იმ შემთხვევებში, რომლებიც არ არის გათვალისწინებული **ხელშეკრულებით მხარეები** იხელმძღვანელებენ **კანონმდებლობით** დადგენილი შესაბამისი ურთიერთობის მარეგულირებელი ნორმებით ან/და დამატებით შეთახმებული პირობებით. ამასთან, **მხარეები** თანხმდებიან, რომ **ხელშეკრულების** შესრულების ადგილად მიიჩნევა **ბანკის** იურიდიული მისამართი.

9.7. **ბანკის** მიერ **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული ნებისმიერი უფლებ(ებ)ის (მათ შორის **სერტიფიკატის მფლობელის** მიერ **ხელშეკრულებიდან** ან/და **კანონმდებლობიდან** გამომდინარე ვალდებულებების დარღვევისას წარმოშობილი უფლებ(ებ)ის) გამოუყენებლობა არ წარმოადგენს ამ უფლებებზე **ბანკის** მიერ უარის თქმის საფუძველს. ამასთან, ნებისმიერი და ყოველი უფლება, რომელიც მიენიჭება **მხარეს** მეორე **მხარის** მიერ **ხელშეკრულების** ან/და **კანონმდებლობის** სრულად ან ნაწილობრივ დარღვევის შედეგად, კრებითია და დაემატება **ხელშეკრულებით** ან/და **კანონმდებლობით** მინიჭებულ ყველა სხვა უფლებას.

9.8. **ხელშეკრულებაში** არსებული მუხლ(ებ)ი/პუნქტ(ებ)ი/ქვეპუნქტ(ებ)ი დანომრილი და დასათაურებულია, ხოლო გამუქებული სიტყვები მოცემულია **ხელშეკრულების** შინაარსის მოხერხებულად აღქმის მიზნით და არ ახდენს გავლენას **ხელშეკრულების** პირობ(ებ)ის ინტერპრეტაციაზე.

9.9. **სერტიფიკატის** თითო თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარი გადაეცათ **მხარეებს.**

9.10. **მხარეები** ხელს აწერენ **სერტიფიკატის** ყველა გვერდს.

9.11. **ხელშეკრულება** შედგენილია ქართულ ენაზე. **ბანკის** სურვილის შემთხვევაში **ხელშეკრულება** (მათ შორის მის საფუძველზე ემიტირებული **სერტიფიკატი**) დამატებით შესაძლოა დაიდოს სხვა ენაზეც. ამ შემთხვევაში ქართულ ენაზე შედგენილ **ხელშეკრულებას** და მის **პირობებს** უპირატესობა მიენიჭება სხვა ენაზე შედგენილ **ხელშეკრულებასთან** და მის **პირობებთან** მიმართებაში.

„დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, 2026 წლის პირველი აპრილიდან, ყველა დეპოზიტორის დეპოზიტზე/ანგარიშზე არსებული თანხა, დეპოზიტების/ანგარიშების რაოდენობის მიუხედავად, თითოეულ კომერციულ ბანკში და მიკრობანკში დაზღვეულია და დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს მიერ ანაზღაურდება 50,000 ლარის ფარგლებში. კომერციულ ბანკში და მიკრობანკში ყველა დეპოზიტორის ყველა ანგარიშზე არსებული თანხა ავტომატურად დაზღვეულია დამატებითი საზღაურის გარეშე. დამატებითი ინფორმაცია იხილეთ დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს ვებგვერდზე: www.diagency.ge

სს „ლიბერთი ბანკი“ წარმოადგენს ლიზენცირებულ ფინანსურ ინსტიტუტს და მოქმედებს 2010 წლის 31 მარტს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გაცემული #0110247 ლიცენზიის საფუძველზე;

სს „ლიბერთი ბანკის“ სათავო ოფისი მდებარეობს ქ. თბილისში, ჭავჭავაძის გამზ. #74-ში 0162. დეტალური ინფორმაცია სს „ლიბერთი ბანკის“ მომსახურების პირობების და მომსახურების ობიექტების შესახებ ხელმისაწვდომია ბანკის ვებ-გვერდზე http://libertybank.ge;

სს „ლიბერთი ბანკის“ საზედამხედველო ორგანოს წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ბანკი, რომლის შესახებაც დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ ვებ გვერდზე - http://nbg.gov.ge;

საქართველოს ეროვნული ბანკი არც ერთ შემთხვევაში არ არის პასუხისმგებელი სს „ლიბერთი ბანკის“ მიერ ვალდებულებების არაჯეროვან შესრულებაზე.

სადეპოზიტო სერტიფიკატის სტანდარტული პირობების დანართი №1 – სადეპოზიტო სერტიფიკატის პირობით გათვალისწინებული თანხების დათვლის ფორმულები

ფორმულა (1) დისკონტური სადეპოზიტო სერტიფიკატის მიმდინარე ღირებულების დათვლა.

$$CP = \frac{NP}{(1 + \frac{R}{365} \times RD)}$$

სადაც:

CP — დისკონტური სადეპოზიტო სერტიფიკატის მიმდინარე ღირებულება;

NP — დისკონტური სადეპოზიტო სერტიფიკატის ნომინალური ღირებულება;

R — წლიური საპროცენტო განაკვეთი;

RD — დისკონტური სადეპოზიტო სერტიფიკატის გაყიდვის დღიდან მის (სერტიფიკატის) მოქმედების ვადის ამოწურვამდე დარჩენილი დღეები.

ფორმულა (2) საპროცენტო სადეპოზიტო სერტიფიკატის მიმდინარე ღირებულების დათვლა.

$$CP = NP + NP \times \frac{R}{12} \times \frac{CI}{DM}$$

სადაც:

CP — საპროცენტო სადეპოზიტო სერტიფიკატის მიმდინარე ღირებულება;

NP — საპროცენტო სადეპოზიტო სერტიფიკატის ნომინალური ღირებულება;

R — წლიური საპროცენტო განაკვეთი;

CI — საპროცენტო სადეპოზიტო სერტიფიკატზე ბოლო საპროცენტო სარგებლის მიღებიდან სერტიფიკატის გაყიდვის თარიღამდე არსებული დღეები;

DM — საპროცენტო სადეპოზიტო სერტიფიკატზე ბოლო საპროცენტო სარგებლის მიღებიდან მომდევნო საპროცენტო სარგებლის მიღებამდე არსებული დღეები.